სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 23 0001775603

28/12/2023

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, „წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ" სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/217 დადგენილების და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, ბატონ ჯემალ გახოკიძის 2023 წლის 27 დეკემბრის MES 0 23 0001769412 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 25 იანვარს დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნები.
2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის დადგენილი კვოტის მიხედვით არჩევნები გამოცხადდეს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- სამშენებლო ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

- ენერგეტიკის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 6 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 5 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის.

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აირჩევა სამეცნიერო პერსონალის ორი წარმომადგენელი.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან/სკოლიდან შესაბამისი კვოტით აირჩევა აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (გარდა ასისტენტისა) და ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად აირჩევა ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წევრი.
5. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის/სკოლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.
6. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის/სკოლის სტუდენტების წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2024 წლის 18 იანვრისა, გაიაროს რეგისტრაცია ამომრჩეველთა შესაბამის სიაში არ ჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
7. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აირჩევა 4 წლის ვადით.
8. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.
9. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 11 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით.

10. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე/სკოლაში დაკავებული აკადემიური თანამდებობის/სტუდენტის სტატუსის/ შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

11. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოებმა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოებმა 2024 წლის 11 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

12. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის/სკოლის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

13. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

14. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

15. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

16. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).



რექტორი
გურგენიძე დავით